

საქართველოს კანონი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების
შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები 1994 წელი №21-22) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„5¹. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები ვალდებული არიან საწარმოს აუნაზღაურონ მათ მიერ დადებული არასამართლიანი ხელშეკრულებით მიყენებული ზიანი. საწარმოს პარტნიორებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით მოითხოვონ აღნიშნული პირების მიერ არასამართლიანი ან ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევით დადებული ხელშეკრულების ბათილობა ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ხელშეკრულების მეორე მხარე კეთილსინდისიერია. ხელშეკრულების ბათილობის ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს სააქციო საზოგადოებაში აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, ხოლო ყველა დანარჩენ საზოგადოებაში – თითოეულ პარტნიორს;“.

2. 9¹ მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ¹“ ქვეპუნქტი:

„ვ¹) საწარმოს 50%-ზე მეტი წილის შექმნა და გასხვისება;“.

3. 54-ე მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ ქვეპუნქტი:

„მ) მიიღოს გადაწყვეტილება საწარმოს 50%-ზე მეტი წილის შექმნისა და გასხვისების შესახებ.“.

4. 55-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი